ქ. თბილისში მიუსაფართა თავშესაფრის
მშენებლობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო
დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების
შესყიდვის

დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

ქ. თბილისი
2014 წელი

სარჩევი

1	ტექნიკური დოკუმენტაცია	6
2	სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	8
3	დანართი N1- ტექნიკური დავალება.	13
4	გენგეგმა	იხილეთ დამატებით ატვირთული დოკუმენტი
4	დანართი N2 ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების შესახებ	17
5	დანართი N3 - რეკვიზიტები, შემოთავაზების ფასი	18

1. ტექნიკური დოკუმენტაცია

1.1.შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები:

1.1.1.შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება მოცემულია დანართში N1, რომელიც შემდგომ განისაზღვრება გამარჯვებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

1.1.2. თავშესაფრის ესკიზური გენგეგმა ატვირთულია ცალკე ფაილის სახით.

1.1.2.მომსახურების მიწოდების საერთო ვადა მოცემულია დანართში N1 (ტექნიკური დავალება).

1.1.3.პროფესიული პასუხისმგებლობა:

1.1.4.1.გამარჯვებული პირი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, პროფესიული პასუხისმგებლობის პირობები მოცემულია ხელშეკრულების მე-9 მუხლში.

1.1.5.შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 70000 ლარს, რაც მოიცავს დანართით N1 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისთვის გათვალისწინებულ ყველა ხარჯსა და მოსაკრებელს, პროფესიული პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულ ყველა ხარჯს, წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო გადახდის) საბანკო გარანტიის ხარჯს (ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში) და მიმწოდებლისთვის გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

1.2. მინიმალური მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მონაწილე პირი:

მონაწილე პირს 3 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ქონდეს განხორციელებული დანართით N1 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული მომსახურების შინაარსის არანაკლებ 3 პროექტი, რომელთაგან მინიმუმ ერთი პროექტი უნდა იყოს მინიმუმ დანართით N1 გათვალისწინებული მომსახურების სირთულის.

1.3. შემოთავაზების ფასი

1.3.1.ფასი გამოსახული უნდა იყოს ლარში, რაც უნდა მოიცავდეს დანართით N1 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისთვის გათვალისწინებულ ყველა ხარჯსა და მოსაკრებელს, პროფესიული პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულ ყველა ხარჯს, წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო გადახდის) საბანკო გარანტიის ხარჯს (ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში) და მიმწოდებლისთვის გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

1.3.2. მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილ საპროექტო მომსახურების ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის 20%-ზე მეტი ოდენობით სხვაობისას, კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში, მონაწილე პირი ვალდებულია, წარმოადგინოს შემსყიდველის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია ფასწარმოქმნის ადეკვატურობის და/ან ამ ფასად ვალდებულების მიწოდების შესაძლებლობის შესახებ. ზემოხსენებული დასაბუთებისა სათანადო დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა გამოიწვევს მონაწილე პირის დისკვალიფიკაციას.

13.2. საპროექტო მომსახურების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს დანართის N3-ის მიხედვით.

1.3.3. საპროექტო მომსახურების შემოთავაზება რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

1.4.ანგარიშსწორების პირობები:

ანგარიშსწორების პირობების მოცემულია ხელშეკრულების მე-7 პუნქტში.

1.5. მონაწილე პირის მიერ წარმოსადგენი ინფორმაცია.

1.5.1. კონცეპტუალური პროექტი ძირითადი გადაწყვეტების მითითებით;

1.5.2. შენობის ვიზუალური მხარე (ესკიზური პროექტი);

1.5.3.ინფორმცია წარმოდგენილი კონცეპტუალური პროექტის მიხედვით სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულების შესახებ გამოსახული ლარებში; (აღნიშნული ინფორმაცია არ გულისხმობს დეტალურ ხარჯთაღრიცხვას, ხოლო წარმოდგენილი სავარაუდო თანხის დასაშვები ცდომილება არ უნდა აღემატებოდეს დეტალური ხარჯთაღრიცხვის 25%)

1.5.4. ინფორმცია წარმოდგენილი კონცეპტუალური პროექტის მიხედვით სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ვადის შესახებ სათანადო დასაბუთებით;

1.5.4. დანართი N2 ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების შესახებ, რომელიც მინიმუმ უნდა აკმაყოფილებდეს 1.2. პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

- ✓ **შენიშვნა:**

  1.2. პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია წარმოადგენს მინიმალურ მოთხოვნას, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მონაწილე პირი, ამასთანავე მონაწილე პირი არ არის შეზღუდული წარმოადგინოს ანალოგიური პროექტების განხორციელების სრული ინფორმაცია.

1.5.5.დანართი N3 - საპროექტო მომსახურების ფასი და რეკვიზიტები.

1.5.6. მინიმუმ დანართით N1 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული მომსახურების ანალოგიური შინაარსის, სირთულის პროექტის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი.

- ✓ **შენიშვნა:**

  გამარჯვებული პირის მიერ 1.5.1; 1.5.2.;1.5.3. და 1.5.4. პუნქტით წარმოდგენილი ინფორმაცია ტექნიკურ დავალებასთან (დანართი N1) ერთად განისაზღვრება ხელშეკრულების დანართის სახით.

1.6. მონაწილე პირის მიერ წინადადების წარმოდგენის წესი.

1.6.1.მონაწილე პირებმა წინადადება და მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 07 აპრილის 15:00 საათიდან 16:00 საათამდე დალუქული კონვერტით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150, მე-3 სართული, ოთახი N 301 - სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

1.7. გამარჯვებულის გამოვლენა:

1.7.1. გამარჯვებული გამოვლინდება კომისიური წესით, ორ ეტაპად, პირველ ეტაპზე განხორციელდება წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად შესაბამისი მონაწილე პირების შერჩევა თუ რამდენად ითვალისწინებს მათი წარმოდგენილი კონცეპტუალური პროექტი, ესკიზური პროექტი და სამუშაოს მიწოდების ვადები დანართით N1 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხოლო მე-2 ეტაპზე განხორციელდება შერჩეული პირების შეფასება შეფასების შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

N	შეფასების კრიტერიუმი	პრიორიტეტულობის კოეფიციენტი
1	საპროექტო მომსახურების შემთავაზებული ფასი	0,2
2	მონაწილე პირის ანალოგიური გამოცდილება	0,2
3	სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულება	0,3
4	სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ვადა	0,3
ჯამი		1,0

1.7.2. შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით, მე-2 ეტაპზე შერჩეული პირებიდან გამარაჯვებულად ჩაითვლება ის მონაწილე, რომელიც მიიღებს კომისიის წევრების შეფასების ყველაზე მეტ ჯამურ ქულას.

1.8. დამატებითი ინფორმაცია:

1.8.1.დამატებითი ინფორმაცია ასევე შესაძლებელია მიიღოთ შემდეგი პირისგან - გიორგი ბულეიშვილი სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი: ტელ: +995 32 2437001/02/03/04 (შიდა ნომერი 405)

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარჯვებულ პირთან.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ. თბილისი **„ __“ „------ “ 2014წ**

ერთის მხრივ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ბ-ნი ელგუჯა ხოკრიშვილის სახით და მეორე მხრივ ---------- (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი ------_____ სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1.„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელ ორგანიზაციას შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2.„ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელზედაც მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება.

1.3.„შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში შემსყიდველი) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4.„მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელთანაც შემსყიდველმა გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5.„დღე“, კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების დანართით N1 (ტექნიკური დავალება და გამარჯვებული პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ქ. თბილისში მიუსაფართა თავშესაფრის მშენებლობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება (შემდგომში მომსახურება) (cpv71320000), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მიწოდებული მომსახურება და უზრუნველყოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1.მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს ---------- (----------) ლარს

3.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების დანართით N1(ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისთვის გათვალისწინებულ ყველა ხარჯსა და მოსაკრებელს, პროფესიული პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულ ყველა ხარჯს, წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო გადახდის) საბანკო გარანტიის ხარჯს (ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში) და მიმწოდებლისთვის გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და მიწოდების ვადები

4.1.შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები, მომსახურების მიწოდებისთვის გასატარებელი ღონისძიებები, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემადგენლობა, მომსახურების მიწოდების პირობები და მიმწოდებლისთვის დადგენილი სხვა მოთხოვნები, რომელიც აუცილებელი იქნება მომსახურების გაწევისათვის მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1 (ტექნიკური დავალება და მომსახურების აღწერილობა), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.2.მომსახურების მიწოდებისას მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს საქართველოში მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ყველა მოთხოვნა, რომელიც დაკავშირებული იქნება მომსახურების გაწევასთან, ასევე მიწოდებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული მომსახურებისათვის დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

4.3.მომსახურების გაწევის ვადა მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1(ტექნიკური დავალება).

5. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

5.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5.2 ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

5.2.1 მომსახურების მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

5.2.2 მიწოდებული მომსახურების ხარისხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, მომსახურების განხილვა-შეთანხმება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა.

5.2.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ----------

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად.

6.2.მომსახურების წარდგენისა და მირება-ჩაბარების პირობები მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

7.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და დადგენილი წესით საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე თუ მიმწოდებელი არის დღგ-ს გადამხდელი.

7.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების

7.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.5.მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორება, მიმწოდებლის მიერ შესაბამის თანხაზე საქართველოში მოქმედი საბანკო დაწესებულებიდან გაცემული, შემსყიდველთან შეთანხმებული შინაარის, უპირობო, გამოუთხოვადი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების მიწოდების საბოლოო ვადას.

7.6.წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების
7.5. პუნქტით გათვალისწინებული წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

7.6.მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში ანგარიშსწორება მომსახურების ცალკეულ ეტაპებზე განისაზღვრება შემდეგი პროპორციით:

7.6.1. გარე საინჟინრო კომუნიკაციების დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია ---- ლარი (ხელშეკრულების ღირებულების ღირებულების 30%)

7.6.2. ლური პროექტი და ხარჯთაღრიცხვა ---- ლარი (ხელშეკრულების ღირებულების ღირებულების 70%)

8.მომსახურების ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

9.პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა

9.1.წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას და ასევე წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელებული პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი რისკის დაზღვევის მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველისა და მიმწოდებლის სასარგებლოდ უზრუნველყოს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა ქვემოთ მითითებული პირობების შესაბამისად:

9.1.1.პროფესიული დაზღვევის დასაფარი თანხა შეადგენს (ხელშეკრულების ღირებულების სამმაგი ოდენობას) ლარს. (ფრანშიზა - არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 1.5%).

9.1.2.დაზღვევა უნდა ფარავდეს ყველა მოსალოდნელ რისკს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მიმწოდელის პროფესიული შეცდომის შედეგად და რომელმაც წარმოშვა შემსყიდველისათვის დამატებითი ხარჯი ან ზიანი.

9.1.3.პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის უზრუნველსაყოფად მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს საქართველოში მოქმედი საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სადაზღვევო პოლისი, რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 2 კალენდარულ წელზე ნაკლები მისი გაცემის თარიღიდან.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების 9.1.1. პუნქტში განსაზღვრული ფრანშიზის დაფარვას საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

9.3.იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის შეცდომის შედეგად გამოწვეული ხარჯის ან/და ზიანის დაფარვა ვერ განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 9.1. პუნქტის შესაბამისად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შემსყიდველისათვის მიყენებული ხარჯის ან/და ზიანის ანაზღაურება.

10. შესყიდვის ობიექტის საკუთრება, კონფიდეციალურობა და სავტორო უფლება

10.1. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ყველა სახის მასალა (გამოკვლევა, ანგარიშები ან სხვა მასალები, გრაფიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა დოკუმენტები) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაში და მისი შეწყვეტის შემდგომაც მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და მისი შემადგენელ ყველა ნაწილთან დაკავშირებულ ინფორმაციის კონფიდეციალურობის დაცვა.

10.3.საავტორო ულების საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.მხარეთა ვალდებულებები

11.1.მიმწოდებელი ვალდებულია:

11.1.1. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
11.1.2. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
11.2.შემსყიდველი ვალდებულია:
11.2.1. დაფინანსების წყაროთი გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს მიმწოდებლის დროული და სრული დაფინანსება.
11.2.2. დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
11.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

12.მხარეთა უფლებები

12.1მიმწოდებელს უფლება აქვს:
12.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
12.2 შემსყიდველს უფლებააქვს:
12.2.1 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალებულებების კონტროლი.
12.2.2 განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

13.ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.
13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

14.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
14.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
14.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

14.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

17. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

17.1 მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადების დარღვევის ან წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლით გათვალისწინებული დაზღვევის პოლისის დაგვიანებით წარმოდგენის შემთხვევაში გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

17.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე გადაუხადოს პირგასამტეხლო მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

17.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

18. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

18.1. მხარეთა შეთანხმებით;

18.2. ხელშეკრულების 17.4. პუნქტით გათვალისწინებული პირობის არსებობისას;

18.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

20. განსაკუთრებული პირობები

20.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

20.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

დანართი N1:

ტექნიკური დავალება და მომსახურების აღწერილობა

ტექნიკური დავალება

თბილისში მიუსაფართა თავშესაფრის მშენებლობის საპროექტო მომსახურებაზე

1. **შესავალი**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის მიზანია მოახდინოს სახსრების მობილიზება სხვადასხვა საერთაშორისო დონორებისა და საქართველოს ფინანსური ორგანიზაციებისაგან, რათა ხელმისაწვდომი გახადოს ამ სახსრების ადგილობრივ ინფრასტრუქტურაში ინვესტირება. იმავდროულად, ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების ინსტიტუციური და ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერებას.

შემსყიდველის მიერ განსახორციელებელ პროექტებს შორის დაგეგმილია თბილისში მიუსაფართა თავშესაფრის მშნებლობის პროექტი, რომელიც ფინანსდება საქართველოს მთავრობის მიერ.

წინამდებარე ტექნიკური დავალებაში განსაზღვრულია მოთხოვნები ზემოთ აღნიშნული თვშესაფრის მშენებლობის პროექტის მომზადებისათვის.

2. **მიზანი**

პროექტის მიზანია თბილისში მიუსაფართა განთავსებისათვის საცხოვრებლის შექმნა, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მათი ღამისთევისათვის, კვებისათვის, პირველადი სამედიცინო, სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურების და უსაფრთხოებისათვის სჭირო პირობები.

დავალების მოთხოვნების შესაბამისად უნდა მომზადდეს დეტალური პროექტი შემდგომში სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად.

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა დამუშავდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით.

3. პროექტის მოკლე აღწერა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თბილისში, ლილოს დასახლებაში. ტერიტორიის საერთო ფართი შეადგენს 3300 $მ^2$-ს. გათვალისწინებულია თავშესაფრის მშენებლობა 240 მიუსაფარზე. ქალების და მამაკაცების განთავსებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს ცალ-ცალკე ბლოკები 120 მიუსაფარზე თითოეული. ბლოკები დაყოფილი უნდა იყოს საძინებელ მოდულებად თითოეული 10 საწოლზე. შენობები უნდა იყოს ერთსართულიანი. შენობების კომპლექსში უნდა შედიოდეს შემდეგი სათავსები, რომლების შეიძლება განთავსებული იყოს ერთ ბლოკში ან დაპროექტდეს ცალკე მდგომ შენობებად:

1. დაცვის და მიმღები;
2. კრიზისული ბლოკი;
3. საძინებელი ბლოკები;
4. სასადილო, სამზარეულოთი, სანკვანძით და დამხმარე სათავსებით;
5. ადმინისტრაცია;
6. სამედიცინო პუნქტი, საპროცედურო და სტაციონარით 12 საწოლზე, სანკვანძით, ფსიქოლოგის კაბინეტით;
7. სასაწყობო ფართები;
8. სათავსები ტექნოლოგიური დანადგარებისათვის (საქვაბე დ ა.შ.);
9. საპირფარეშოები და საშხაპეები;

ტექნიკურ დავალებას თან ერთვის თავშესაფრის ესკიზური გენგეგმა, რომელზედაც მოცემულია სათავსების სავარაუდო განლაგება და ფართები.

შენობები სასურველია განთავსდეს ტერიტორიაზე ისე რომ შეიქმნას ჩაკეტილი კონტური, რომლის საზღვარსაც შენობების გარე კედლები წარმოადგენს.

პროექტი უნდა ითვალისწინებდეს ტერიტორიის კეთილმოწყობას, ასევე გარე საინჟინრო კომუნიკაციების (ელმომარაგება, გაზმომარაგება, წყალმომარაგება და კანალიზაცია) პროექტის შედგენას. საინჟინრო კომუნიკაციების პარამეტრები გათვლილი უნდა იყოს თავშესაფარში განთავსებული მიუსაფარების და მომსახურე პერსონალის მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

4. წარმოსადგენი საპროექტო დოკუმენტაცია

- განმარტებითი ბარათი
- ტოპო გადაღება UTM (საერთაშორისო) კოორდინატთა სისტემით
- გეოლოგიური დასკვნა
- სიტუაციური და გენერალური გეგმები
- არქიტექტურული სამუშაო ნახაზები (გეგმები, ჭრილები, ფასადები, დეტალები, კვანძები (მ. 1:100, 1:50, 1:25);
- მოსაპირკეთებელი სამუშაოების უწყისები, იატაკების, ჭერების და კარ-ფანჯრების სპეციფიკაციები;

- ინტერიერის დეტალები;
- კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები (სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები (მ. 1:100, 1:50, 1:25);
- საინჟინრო ნაწილი - შიდა და გარე ელ.ქსელი, კანალიზაცია, წყალმომარაგება და გათბობა, ვენტილაცია, (სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები);
- ვერტიკალური გეგმარება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- სუსტდენიანი სისტემები - ინტერნეტი, ტელეფონი, დაცვის სიგნალიზაცია (სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები);
- სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკით;
- ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა;
- სატენდერო დოკუმენტაციის დეტალური და ზოგადი სპეციფიკაციები;
- საინჟინრო კომუნიკაციებზე დატვირთვების განსაზღვრა შესაბამისი უწყებებიდან ტექნიკური პირობების მისაღებად;
- გარემოსდაცვითი ღონისძიებების მართვის გეგმა (გმგ);
- რენდერები და ფოტომასალა.

პროექტის განმარტებით ბარათში მოკლედ უნდა იყოს აღწერილი არსებული მდგომარეობა და საპროექტო გადაწყვეტები (უნდა დაერთოს საჭირო გაანგარიშებები, სქემები, ცხრილები, ფოტომასალა და ა.შ.), მოცემული უნდა იყოს ასაშენებელი ობიექტის ძირითადი პარამეტრები, გამოყენებული მასალების სპეციფიკაციები, სამუშაოთა ჩამონათვალი, მოცულობები და მშენებლობის ორგანიზაციის რეკომენდაციები საორიენტაციო კალენდარული გრაფიკით, გარემოსდაცვითი ნაწილი.

მითითებული უნდა იყოს გამოყენებული სამშენებლო ნორმები და წესები, გაანგარიშებების მეთოდები.

ტექნიკური სპეციფიკაციები უნდა მოიცავდეს კონტრაქტორისათვის (სამშენებლო ტენდერში მონაწილეთათვის) ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით) გამოყენებული მასალების, სამუშაოთა შესრულების მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისათვის.

პროექტის გრაფიკული ნაწილი (როგორც სამშენებლო, ასევე სატენდერო ნახაზები) შესრულებული უნდა იყოს სამუშაო დოკუმენტაციისათვის მოთხოვნილი ნორმების და სტანდარტების შესაბამისად, სათანადო მასშტაბში და დეტალიზაციით.

5. მიმწოდებლის (კონსულტანტი) შტატი

მიმწოდებელმა (კონსულტანტი) დავალებით გათვალისწინებული მომსახურების მაღალ დონეზე შესასრულებლად უნდა უზრუნველყოს კვალიფიციური კადრების მობილიზება (როგორც ძირითადი სპეციალისტების, ასევე დამხმარე პერსონალის).

ყველა სპეციალისტი უნდა იყოს თავის დისციპლინაში გამოცდილი პროფესიონალი (რაც დადასტურებული იქნება წამოდგენილი რეზიუმეთი) და გააჩნდეს მსგავსი სამუშაოების შესრულების არანაკლებ 5 წლის პროფესიული სტაჟი.

6. ანგარიშგება და განრიგი

პროექტი განხორციელდება ორ ეტაპად: I ეტაპი - წარმოდგენილი უნდა იყოს გარე საინჟინრო კომუნიკაციების (იხ. თავები 3 და 4) დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია - დავალების დაწყებიდან (ხელშეკრულების ხელმოწერიდან) **ხუთი კვირის** ვადაში;

II ეტაპი - მიუსაფართა თავშესაფრის დეტალური პროექტი და ხარჯთაღრიცხვები - დავალების დაწყებიდან (ხელშეკრულების ხელმოწერიდან) **8 კვირის** ვადაში;

თითოეულ ეტაპზე, შემსყიდველი ხუთი სამუშაო დღის ვადაში წარუდგენს მიმწოდებელს (კონსულტანტი) თავის შენიშვნებს. მიმწოდებელი (კონსულტანტი) ვალდებულია გაითვალისწინოს აღნიშნული, და შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები საპროექტო დოკუმენტაციაში.

მიმწოდებელმა (კონსულტანტი) საბოლოოდ შემსყიდველს უნდა გადასცეს დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია და სატენდერო მასალები დაბეჭდილი ოთხ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. წარმოდგენილ მასალებს თან უნდა დაერთოს მათი ელექტრონული ვერსიები (ტექსტური ნაწილი Word და Excel ფაილების სახით, ხოლო ნახაზები - AutoCAD და PDF ფორმატში).

7. შემსყიდველის წვლილი

შემსყიდველი მიმწოდებელს (კონსულტანტი) გადასცემს მის ხელთ არსებულ ყველა მასალას, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს მომსახურების გაწევისათვის.

8. განსაკუთრებული პირობები

მიმწოდებელი (კონსულტანტი) ვალდებულია აღნიშნული პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში (საჭიროების შემთხვევაში), მათ შორის საპროექტო მომსახურების ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ მონაწილეობა მიიღოს საპროექტო გადაწყვეტილებათა დაზუსტებაში, მუშა ნახაზების, სამშენებლო მოცულობების და კონტრაქტის სხვა შესაბამისი ცვლილებების მომზადება-შეთანხმებაში

9. მომსახურების ხანგრძლივობა

მომსახურების ვადაა 8 კვირა.

დანართი N2

ინფორმაცია ანალოგიური მომსახურები შესახებ

N	დამკვეთის დასახელება	ანალოგიური მომსახურების აღწერილობა და შინაარსი	სახელშეკრულებო ღირებულება	ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება	შესრულების პერიოდი (დაწყება/დასრულების თარიღი)	შენიშვნა
1						
2						
3						
....						

- **მინიმალური სავალდებულო მოთხოვნა**:

მონაწილე პირს 3 წლის განმალობაში წარმატებით უნდა ქონდეს განხორციელებული დანართით N1 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული მომსახურების შინაარსის არანაკლებ 3 პროექტი, რომელთაგან მინიმუმ ერთი პროექტი უნდა იყოს მინიმუმ დანართით N1 გათვალისწინებული მომსახურების ღირებულებისა და სირთულის.

✓ **შენიშვნა**

მონაწილე პირი აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს მინიმალურ მოთხოვნას, ამასთა ის არ არის შეზღუდული წარმოადგინოს ანალოგიური პროექტების განხორციელების სრული ინფორმაცია.

მონაწილე პირმა უნდა ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს მინიმუმ დანართით N1 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული მომსახურების შინაარსის, არანაკლებ ერთი პროექტის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი

_____ _____

ხელმოწერა, ბ/ა (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

რეკვიზიტები სპროექტო მომსახურების ფასი

- პრეტენდენტის სამართლებრივი ფორმა და დასახელება:
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
- პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
- საიდენტიფიკაციო კოდი:
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:
- ელექტრონული ფოსტის მისამართი:
- მომსახურე ბანკი:
- ბანკის კოდი:
- ანგარიშსწორების ანგარიში:

საპროექტო მომსახურების ფასი: _____ _____ ლარი

(თანხა ციფრებთ) (თანხა სიტყვიერად)

_____ _____

ხელმოწერა, ბ/ა (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)